



მეცემსი

ო რ ვ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ე მ ო ვ ი ლ ე ბ ა

შპალასი განივასტი.


(დასასრულია*).

XXIX. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 4, 14, 16—23 პუნქტებში აღნიშნული შეღავათები შეეხება სახელმწიფო დამნაშავეთა, შემდეგ წესების დაცვით: 1. ნებას ვაძლევთ იუსტიციის მინისტრს, შინაგან მინისტრთან შეთანხმებით, წარმოგვიდგინოს განსაკუთრებული უქვეშევრდომილეს მოხსენებანი წინააღმდეგ უფლებათა აღდგენის შესახებ იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელთაც დასარულეს ციშიბირში გაგზავნის ვადა და კარგის ყოფა-ქცევით და შრომის-მოყვარეობით დამსახურეს თავისი მდგომარეობის შემსუბუქება. 2. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17, 18, 19, 20 და 23 პუნქტებში აღნიშნულ წყალობათა მინიჭება იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელნიც გზო იხდიან სასჯელს, ვეალებათ ჩვენს ნამესტნიკს შორეულ-აღმოსავლეთში, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს და ადგილობრივ გუბერნატორებს. 3. დავიწყებამ მიეცეს ყველა ის საქმეები სახელმწიფო დამნაშავეთა შესახებ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, 15 წლის ვანაშლიობაში, დაფარულ იყვნენ. 4. დავიწყებამ მიეცეს აგრეთვე საქმეები იმ დანაშაულობათა შესახებ, რომელნიც აღნიშნული არიან სასჯელთა დებულების 103-104, 106 ჭ 107 მუხლებში (1903 წ. გამოცემა) და რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე დაფარული იყვნენ. ამ მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობათა ჩამდენთ ეპატიოსთ დანაშაული ჭ

სასჯელი და დაუბრუნდეს *უფლებანი. 5. ის პირნი, რომელთაც აღმინისტრატული სასჯელი მიესაჯა, თანამხად სისხლის სამართლის დებულების 1035 მუხლისა (კანონ. კრებ. ტომი XVI, ნაწ. I, 1892 წ. გამოც.), ან და თანამხად სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების 32—36 მუხლებისა და რომელნიც მემკვიდრის დაბადებამდის სრული წლოვანი არ გახდარიან, სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნებიან. 7. ვისაც ამავე წესით მიესაჯა 6 თვეზე მეტი დაპატიმრება ან 1 წელიწადზე მეტი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა, იმათ სასჯელი ერთის მესამედით შეუმკირდეთ, თუ ამ ყამად კარგის ყოფა-ქცევის არიან. 8. ამ მანიფესტის მე-XXIX მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ წყალობის მინიჭება ვეალებათ ჩვენს ნამესტნიკს შორეულ აღმოსავლეთში, კავკასიის მთავარ მართებულს, გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს და გრაღონაზონიკებს. 9. შინაგან საქმეთა მინისტრს ნებას ვაძლევთ, წარმოგვიდგინოს შუამდგომლობანი იმ პირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე თავის ნებით გადაიხვეწნენ სხვა სახელმწიფოებში, სახელმწიფო დანაშაულობის ჩადენის გამო და რომელთაც სისხლის სამართლის დებულების (1903 წ. გამოც.) 99 მუხლში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედება არ ჰპარალებათ, თუ ეს პირნი მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას და ოუ ტახტისა და სამშობლოსადმი ერთგულებას და სინანულს გამოაცხადებენ.

XXX. სამართალსა და პასუხის გებაში მიცემულნი, რომელნიც ამ მანიფესტის ძალით განთავისუფლებულ უნდა იქნენ სამართლისა და სასჯელი

*) ის. „მწეჴსი“ № 18, 1904 წ.





საგან, თუ თავს დანაშავედ არა სცნობენ და ჰსურთ თავის გამართლება, შეუძლიანთ ერთის თვის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც საქმის მოსაო-ბის კაბეი იქნება გამოცხადებული, ითხოვონ გამოძიებისა და სამართლის განახლება, ამგვარადვე შეუძლიანთ მოითხოვონ საქმის დამთავრება იმათ, ვისაც შეეკიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ჩადენილ საქმეებისთვის სამართალი და პასუხის-გება მოეგოს და ამ მანიფესტის ძალით შეძლეში თავი-სუფალი უნდა იქმნას და ვინც არ მოისურვებს ამ წყალობით სარგებლობას, პირველნიც ჭ მფორენიც, თუ დანაშავენი აღმოჩნდებიან, ამ მანიფესტის ძა-ლით პატიებას ვეღარ ეღირსებიან.

XXXI. თუ ამ მანიფესტის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, მთავრობის ყველა და-წესებულება ვალდებულია მიჰმართოს უმართებელეს სენატის პირველ დეპარტამენტს; ხოლო თანხების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს დღგოვალ მარაიბის უწყებების დაწესებულებათა სასარგებლოდ — სააბეკუნო საბჭოს. უმართებელეს სენატმა და სააბე-კუნო საბჭომ, თუ აღმოჩნდა ისეთი საქმე, რომელიც იმათ უფლებას აღემატება, დებულებას წესით უნდა აიღონ ჩვენი ნებართვა.

XXXII. ფინლიანდის დიდ სამთავროს მკვიდრთ ებოძოს შემდეგი წყალობანი და შედაკაათი: 1. ევა-ტიოთ ის პირადი და საადგილ-მამულო გადასახადი რომელიც 1904 წლის 1 იანვრისთვის იყო გადასახ-დელი და არ გარდახდილა მემკვიდრის დაბადების დღემდე და ევატიოთ აგრეთვე ზოგიერთი სხვა გა-დასახადი; 2. ევატიოთ მოუსყალობით დაზარალე-ბულით მეოთხედ პირველად მიცემულ იმ სესხის ფულად, ხორხლად ან ფქვილად, რომელიც მემკვიდ-რის დაბადების დღემდე არ დაუბრუნებიათ; 3. ფინ-ლიანდის ხაზინიდან გარდაცეს 3 მილიონი მარკა უმიწაწყლობათა საკუროებისათვის დანიშნულ ხელ-უხლებელ ფონდს; 4. ევატიოთ მცხოვრებთ მემკვიდ-რის დაბადების დღემდე გადაუხდელი ჯარიმები, რომელნიც დაედო სოფლისა და ქალაქის სასოგა-დოებებს 1902 და 1903 წლებში სამხედრო საკრე-ბულობების წევრთა აურჩევლობისა გამო, თუ საზო-გადოებებმა აღნიშნული მოვალეობა 1904 წელს აასრულეს; 5. უფლება მიეცეთ ნება-დაურთველად გახიზნულთ უშიშრად დაბრუნდნენ ფინლიანდიაში ერთი წლის განმავლობაში მემკვიდრე ცესარევიჩის

დაბადების დღიდან, იმ პირობით-კი, რომ ვინც სამხედრო ზეგარა მოსახდელია, ის დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ადგილობრივ სამხედრო საკრებულო-ში; 6. სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ისინი, რომელნიც, კანონის წინააღმდეგ, არ გამოც-ხადდნენ სამხედრო ზეგარის მოსახდელად, თუ ესენი მემკვიდრის დაბადების დღიდან 3 თვის განმავლო-ბაში სამხედრო საკრებულოს გამოცხადებთან; 7. სასამართლოსა და სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნან ის დანაშავენი, რომელთა დანაშაულობის-თვისაც უმაღლეს სასჯელად დადებულია ფულის გადახდა 500 მარკამდე, დაპატიმრება ერთ წლამდე, სამსახურიდან სრულიად ან დროებით დათხოვნა, თუ ეს დანაშავენი მემკვიდრის დაბადების დღემდე პასუხის გებაში არ ყოფილან მიცემულნი, თუ მათ უსახებ არ ყოფილა გამოცხადებული ან სისრულეში მოყვანილი სასამართლოს განაჩენი; განთავისუფლე-ბულ იქმნან სასჯელისაგან აგრეთვე ისინი, რომელ-ნიც აღნიშნულ დანაშაულობისთვის სასჯელს უეკე იხდიან; ეს წყალობა არ ენება იმათ, რომელთაც ჰპრალდებთ ქურდობა, გაღლანგვა, მოპარულის დამალვა, ძარცვა, დატყუება, სიყალბე და საზოგა-დოლ ის დანაშაულობანი, რომელსაც შედეგად მოსდევს ნდობის დაკარგვა ან ფინლიანდის სამსა-ხურიდან დათხოვნა; აგრეთვე იმათ, რომელთა და-ნაშაულობაც კერძო ბრალდებით არის დაწყებული; იმათ, ვინც ეს დანაშაულობანი ჩაიდინეს და ვისაც ზემო აღნიშნულზე მეტი სასჯელი მოეღოთ, შეუშ-ცირდეთ სასჯელი ერთი მესამედით; ხოლო იმათ, ვისაც სამუდამოდ დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, 14 წლის ვადა აღენიშნათ; 8. ფინლიანდის გენე-რალ-გუბერნატორმა შეიშუშოს ის ზომები, რომელ-ნიც შეიძლება მიღებულ იქმნას იმათ მუდის გასა-უმჯობესებლად, რომელთაც აკრძალული აქვთ ფინლიანდიაში ცხოვრება; თავისი მოსაზრებანი გენერალ-გუბერნატორმა უმაღლესად უნდა წარად-გინოს. 9. თუ ამ მუხლის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, ამ ეჭვის გადაწყვეტა მიენდოს ფინლიანდის სენატს ფინლიანდის გენერალ-გუ-ბერნატორთან შეთანხმებით.

ბოძებულია 11 ავგუსტოს ქრისტეს დაბადები-დან 1904 წელსა, ჩვენისა მეფობიდან მეათესა წელსა. ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებუ-ლესობის საკუთარის ხელით აწერინ: „ნიკოლოზ“

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი
ღაპსდღის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.
შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსტრთ იყოს სიხარული
ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლკ. 15 — 4.
შოველით ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11 — 28.

№ 49

1883 — 1904

15 ოქტომბერი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

კრებულა მოძღვრებათა ქართულს ენაზე.
წაწილი მეორე.

გამოცემული «საქართველოს საეკლესიოსის სასულიერო
შემსახურის» რედაქციის მიერ. 1904 წ. ფასი 1 მანეთი.

(დასასრული*).

თქმული პირველ მოძღვრებაზე, უნდა სასვებით
გაგიმეოროთ ჯანაშვილის დანარჩენ მოძღვრებათა
შესახებაც: იგივე უყურადღებობა საღმრთო წერი-
ლიდან აღებული თემისადმი, იგივე გაძევება ქადა-
გებიდან „ღვთისწიგნების“, იგივე უხეხილი ენა
და სხვა. მოვიყვანათ მაგალითი.: „ახლა რა უნდა ვი-
ფიქროთ, ძმანო ქრისტიანო, იმის შესახებ, რომ
ნათქვამი ქრისტესი ნაშვილიად აღსრულდა? იერუ-

სალიმი დაიქცა და ქრისტიანები მოპყვენ დევნასა
(ილბად, ქრისტიანებს დაუწყეს დევნა)? უნდა ვიარ-
წმუნოთ, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა. გულთა
მხილორბა და მომავალი თევგადსავალი მარტო
ღმერთბა უწყს. მაშასადამე, იესო ქრისტე ღმერთი
იყო“.

ჯანაშვილი რომ მოსაქრისტიანებელ ინგლოგებს
ევაიქრებოდეს, რასაკვირველია, მაშინ მოყვანილი
სილოგიზმები არ იქნებოდნენ მოკლებული თვინათ
აზრსა და მნიშვნელობას, მაგრამ მოძღვრება მიმარ-
თულია მართლმადიდებელ ქრისტიანეთადმი და ნუ-
თუ ქრისტიანს, რომელიც სასოებით ისმენს წირვას,
ესაქიროება ქრისტეს ღვთაების დატკიცება? ნუთუ
წინდახედულობად უნდა ჩაყვადლოს მქადაგებელს
მტკიცება იმისი, რაც შეურყვანელი, ეკვერთუტანელს
და კულითად რწმენას შეადგენს მამწმენდებისათვის?
„ძმანო ქრისტიანო“, მიმართვს მქადაგებელი

*) ის. „მწყემსი“ № 18 1903 წ.



მსმენელებს და ამავე დროს აწყობს და ჰკვანძავს ლოლიკურ სილოგოზიმებს ქრისტეს ღვთაების დასამტკიცებლად, თითქოს ამ ქრისტიანებს ექვი ჰქონდეთ, არა სწამდეთ ქრისტეს ქეშმარიტ კაცობასთან მისი ქეშმარიტივე ღვთაებობა. ეს ალაგი ქადაგებისა მსმენელთა შეურაცხება და ნაცვლად დამწყსვისა, ბევრს დაუკარავს ქადაგებათა მოსმენის წადილს.

უმორჩილესად ესთხოვეთ მომთმინო მკითხველს დაგავალს და თითონ წაიკითხოს ჯანაშვილის მესამე მოძღვრების პირველი გვერდი მაინც, რომ წარმოადგენა იქონიოს ქადაგების ენის შეუსაბამობაზე და გაბედული ავქსიანის მიერ გამოილექიკის კანონთა უარ ყოფაზე, ჩვენ კი საყურადღებოდ ვრაცხთ აღენიშნოთ ჯანაშვილის ახირებულ აზრთა კონა, რომლითაც თავდება მესამე მოძღვრება. „ისე მაინებელი არ არის არც ერთი ხალხსათვის აბუჩად აგდება საღმრთო მოძღვრებისა, როგორც ქართველთათვისა. ა, ენა წყლიანობს მოძღვარი კრებულის მეთავე გვერდზე. რალა დავარქვათ ამ აზრს, თუ არა ახირებულობა, აბსურდი? ქრისტიანობა არის მსოფლიო, საერთაშორისო, უნივერსალური მოძღვრება და არა ნაციონალური, არა რომელიმე ხალხთან და ქვეყნის განსახლებულ კუთხესთან შეწყობილ— შეფარდებული ისტემად და მამო რა მიზნითა, რომ მისი აბუჩად აგდება იმდენად სასარალო არ არის არც ბერძნებისა, არც ბოლგარელებისა და არც ფრანგებისათვის, როგორც ქართველთათვის? ეტყობა, ქრისტიანობამაც დაბალ ლობედ დანახა საცოდავი და უბადრუკი ქართველი ვერ! ვერ გამიგია, გახურებულ თონგში ჩავარდნილი ქართველი რატომ ნაცრად უნდა იქცეს მოლად და სხვა ეროვნობის შვილად კი ამავე გარემოებაში ჩავარდნილოს, ოდნავ შეუფიცხდეს კანი? „ჩვენ მტკიცედ უნდა ვიყენეთ სარწმუნოებაზე, ამისათვის, რომ სარწმუნოების გამოკვლა ხალხოსნობასა და ენას გეკარავინებს“—ო, განაგრძობს ჯანაშვილი და აქვი მწარედ სცდება და სარწმუნოების მხრივ დიდად მოიკაოტებს. ნუთუ ხალხოსნობისა და ენის შენახვა უნდა გვაიძულებდეს სარწმუნოებაზე მტკიცე ყოფნას? ნუთუ სარწმუნოება ათითონ, თავის თვად, მარტოდ მარტო აღებულები არ უნდა ჰქონდეს მიჩნეული მორწმუნე კაცს ყველაფერზე უძვირფასეს საუნჯედ? ნუთუ გასამართლებელია ის რწმენა, რომ სარწმუნოება

დასაფასებელია როგორც ეროვნებისა და ენის შენარჩენი საშუალება? მორწმუნე კაცმა სარწმუნოება არ უნდა გახადოს იარაღად და მსახურად რაიმე წარმავლისა, რაიმე მიწიერისა და საანგაროსი. საინტერესოა ვიცოდეთ როგორ ესმის მამა ჯანაშვილს მცხოვრის სიტყვები: „რომელსაც უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსაც უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათ. 10, 37).

დაგვჩანს სიტყვა წარმოთქმული, დიმიტრი მანხანელის დასაფლავებაზე. ამ სიტყვას იმდენათ ნაკლებად ეტყობა ეკლესიური და სარწმუნოებრივი ხასიათი, რომ გვიკვირს, რათ მოუქცევია იგი რედაქციას საეკლესიო ქადაგებათა კრებულში.

ჯანაშვილის მოძღვრებათა შემდეგ იწყობა ვილაცა მ. მ. სიტყვები, ვადავიკითხე ამ სამ მანიანს სამი სიტყვა და ცხოველად წარმომიდგა გაჭირებულ მდგომარეობა მოსწავლისა, როდესაც მას ათარგმინებენ კლასში რუსულიდან ბერძნულად. საბრალო შეგირდი აქ ლექსიკონს ფურცლავს; რომ უცნობი სიტყვები დასძიოს, იქ ხელის ცახცახით აშრიალავს ღრამმატიკის ფურცლებს, რათა გაიხსენიოს ბრუნვებისა და მიმოხერათა ათასგვარი ფორმები, აქ ქურდულად აპარებს თვალს ამხანაგის რვეულისკენ და იწურება ქიბის ოფლში. რა ღირსებისად გამოიღოს ასეთი თარგმანი, ბევრმა ვიცით. მ. მ. მ. საც ბევრი ოფლი დაუღვრია და ჩუბინაშვილის ლექსიკონების დახმარებით გადმოუტანია რუსულიდან ქართულ ენაზე კრებულში მოთავსებული სიტყვები, რომლებიც ყოველიფრით სუსტი შეგირდის ბერძნულ ექსტემორალიას ჰკვანან. სამ სიტყვაში ვერ შეხვდებით ვერც ერთს რიგიან ფრასს, ვერც ერთ მაღლიან შედარებას, ვერც ერთ აზრს, რომ აწყობილი იყოს ქართული გრამმატიკის მოთხოვნილებების თანახმად; ამასთან ენა მკედარი, უფერული და ბლაგვია. აი, ჩემო ბატონებო, რა მარგალიტებია გაბნეული თვითიველ სიტყვაში: «მდიდარი სულიერად იყო ბრმა და აწავითარ კეთაქს არა გამსახად საწყად ღაწარწეოს» (იხ. 13 ვც.) „ისილი სამწუხარო უნდუგუო ხეცდრი მყოფეთ მთა, ვისც მთავდ ითავისო სიფცხცად გავატრეს“ (14 ვც.) „ისხო ქრისტე, შეუგე ცხოველისა“ ავ სულებს დღესაც აქვთ კავშირი ჩვენთანა, ღვთის განგებით აქვთ ჩვენზე გავლენა, მხოლოდ ეს გავლენა სწორად, ძლიან

სმიანდ ანას ჩვენთვის მანგებულა (და განა შესაძლოა, რომ იშვითად მინც სასარგებლო იყოს ჩვენთვის?); „გრძნობს ცოფივად შთაგანას“ (17 გვ.); დასძღვს წა ერთ ჩვეულებას, ამ ჩვეულებას აღარ უნდა მო- უბრუნებო, „ჩაუნერგომ მით გულში კეითი და სასარგებლოა“ (39 გვ.); ჯალჯარით შევიღო უჯა- ბით და უდარდათ“ და სხ. და სხ. დაუმატეთ ყველა ამას სხოლასტრეური მიმართულება მ. მ. მ-სა და აღვიღოთ წარმოიდგენთ, რა დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეთ მსმენელებს, რომ მის დანახვაზე მაშინვე არ მიტარდნენ ეკლესია და არ გაეშურონ თავიანთ სახელებში.

სიტყვები სეთ გამრეკელისა, ა. ივანიკისა, რომ. ფერადისა, ვლადიმერ მაქარაშვილისა, სერგი მაქარაშვილისა, სილიბისტრო ჯაშისა, ვას. კოზმო- ვისა, მიხეილ მენტეშაშვილისა, დავით გოცირიძისა და სემენარის მოწაფეებისა, გარდა ენისა, მეტად უნდინი, უსუსურნი და უძღურნი არიან შინა- არსითაჲ. ჩამოთვლილ მოძღვრებას აკლიათ სასურ- ველი განვითარება ღვთისმეტყველებაში. არა ფიქ- რობთ რომ ბევრს მთავანს, მთავლითად ივანიკის, ვლ. მაქარაშვილს, ჯაშს, გოცირიძეს და რ. ფერადეს გარდა ფილარეტას კატეხიზმოსი ხელში ჰსჭეროდეთ სემენარის კურსის საღვთიმეტყველო საგნების სა- ხელმძღვანოები. ძალიან პატიოსანი, რომ იგინი მეკადინობენ მრევლთა დამწყსვას, კიდევაც განაგრ- ძიან შეხლენისა და გვარად ეს სასახლო შრომა, მაგრამ ამასთან ერთად ათასჯერ უმჯობესი იქნება იბეჯითონ თვით-განვითარებისთვის და დაეხოვონ სამუდამოთ უხეირო სიტყვების ბეჭდას ვითომდა მქადაგებელის სახელის შესაძენად.

დედლის მ. კელ—ძის სიტყვას (იხ. 49 გვ.) უფრო ღეჰქიის ხასიათი აქვს, ვიდრე ეკლესიური მოძღვრებისა, მაგრამ, ვგონებთ, ეს სიტყვა პირველი ნაბიჯია, პირველი ცდა პატივცემული აქესონისა და უნდა იმედო ვიქონიოთ, რომ ჩქარა დახელოვ- ნდება იგი ეკლესიურ მეტყველებაში, შეიძენს უნარს გრძელი სიტყვის მოკლედ მოკრას და ჩვენი ეკლესიის უძღურ ამბიონს შეეძინება ღვთის სიტ- ყვის მაუწყებელი ახალი მუშაჲკი.

ბ. ილ. ფერადეს, როგორც ქართული ენისა, ისტორიისა და ქართული მქადაგებლობის მასწავ- ლებელს საშუალო სასწავლებელში, დიდ შრომად არ უნდა ჩათვალოს მისი სახელში დაბეჭდილი

საუბრები ჩვენი წმინდანების შესახებ. ჩვენ ი. ფე- რადისგან გამოველით სამაგალითო სიტყვათა და მოძღვრებათა ტომს, ეკლესიური მოძღვრებათა სანი- მუშო პრორიამების და კანსპეტებს და ბოლოს, ჩვენი გვეგონია, რომ ბ. ფერადე წერობითად მოკლდა გამოსცეს ქართულ ენაზე თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებათა შესაფერისად დამუშავებული სა- ხელმძღვანელო ღვთისმეტყველებისა და მით დახმარება გაუწიოს ყველას, ვისაც-კი გულითადი სურვილი აქვს შეიგნოს და შეითვისოს ეკლესიური მეტყვე- ლების ბუნება, ხასიათი და კანონები. სემენარიაში ქართული ენის მასწავლებელთა დაუდევრობას უნდა მიეწეროს უმთავრესად, რომ დღევანდლამდე მოკ- ლებული ვართ ამგვარ სახელმძღვანელოს, რასაცა, სამწუხაროდ, შედგად მოსდევს ან სრული სიჩუმე ჩვენი სამღვდლოების უდიდესი ნაწილისა, ან გა- მოსვლა საქადაგო ასპარეზზე იმისთანა მოუმზადებე- ლი პირებისა, როგორებიც აღვნიშნეთ ზემოთ.

ნათარგმნი სიტყვები, სწორეთ რომ სამაგალითო- ნიც იყვნენ, მაინც მათი შინაარსი გაუთვებარი რჩება მსმენელთა მეტი ნაწილისათვის და ამის გამო მოკ- ლებულნი არიან მსმენელთა გონებაზე სასურველი ზეგავლენის დამჩნევის ძალას.

დარბა მთელ კრებულში მოსაწონი და ღირსი ყოველი ქებისა ოცდა ოთხი სხვა-და-სხვა პირთა სიტყვა.

ასეთი შინაარსისა ჩვენიერ აღებული კრებუ- ლი. რას უნდა გამოეწიოს მისი დაბეჭდა, ძნელია სათქმელად, რომ მასში მოთავსებული მოძღვრებანი, უფროს ერთისა, სრულებითაც არ არიან შინაარსით შეხამებულნი მსმენელთა სულიერ მოთხოვნილებას- თან, ცხადია კიდევ, რომ კრებულში მოთავსებული მოძღვრებანი ნაკლებათ გვაძლევენ საბუთს ვიფიქ- როთ ვითომდა ჩვენ სამღვდლოებას შეევნოს თავისი სრულთა მოვალეობა ღვთის სიტყვის გავრცელებისა ცოცხალი ქადაგებით და მოძღვრებით მრევლთა შორის. გამოცემის გარეგნულ ღირსებას შეადგენენ სხვილი ბეჭედი და გვარიანი ქალაღი. მაგრამ თუ მხედველობაში ვიქონიებთ კორრექტურულ შეცდო- მათა სიმრავლეს და მოძღვრებათა თითქმის ორი მესამედის უვარგისობას, დადებული ფასი ერთი მანეთი ძალიან ძვირი უნდა იყოს.

ზორაპის მაზრის ბლადოჩინების ქმება დაბა ჭვირილაში 12 აპრისსტონ 1905 წ.

ავისტოსს თვის 12 რიცხვს მათი მეუღლების იმერეთის ეპისკოპოსის ნებადართვით ზორაპის მაზრის ბლადოჩინებს კრება ქონდათ დაბა ყვირილაში. დანიშნულ დღეს ყველა ბლადოჩინები შეიკრიბნენ დეკ. დ. ღამაშიძის სახლში. კრება შესდგა მოსალაპარაკებლად სამაზრო წიგნთ-საცავის საქმეების გამო და უმთავრესად სამწყსოსთან საუბრების და საკითხავების გამართვის საგნის შესახებ. კრება გაიხსნა თერთმეტ საათზე. ბლადოჩინმა დეკ. დავით ღამაშიძემ კრებას მოახსენა შემდეგი სიტყვა:

„მათი მეუღლებამ, ყოველ სამამულებდლომ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიძემ მიბრძანა, რომ მოგვედინა საბლადოჩინო კრება ზორაპის მაზრის ბლადოჩინთა და მოგველაპარაკათ სამაზრო წიგნთ-საცავის საქმის განხორციელების შესახებ, რომლის დაარსებაზე ამსწინეთ თვით მათი მეუღლების თავმჯდომარეობით ჟურნალიც შესდგა და კომიტეტიც დაარსდა. მათ მეუღლებას სურს შეიტყუოს თუ რა იმოქმედა კომიტეტმა წიგნთ-საცავის შესახებ და არის თუ არა დაწყებული საუბრები და საკითხავები მწყემსთაგან სამწყსოსთან, რომლის შესახებაც საქმის მოგვარება ჰქონდა მინდომილი ზემოხსენებულ კომიტეტს. თქვენ, პატივცემულნი მამანო, კარგათ გახსოვთ თუ რა აღტაცებით მივეგებებით წარსულ წელში საბლადოჩინო კრებაზე მათი მეუღლების სიტყვა-დაროგებას სამაზრო წიგნთ-საცავის დაარსებისა, საუბრებისა და საკითხავების გამართვის შესახებ სამწყსოსთან. მოგვხსენებთ კარგად, რომ კრებამ მაშინ კომიტეტიც აირჩია და მას დაავალა დამზადება სასაუბრო და საკითხავი წიგნებისა და სამაზრო წიგნთ-საცავის საქმის მოგვარებისა. სამწუხაროდ, მაშინ საბლადოჩინო კრება და სამღვდლოების კრებამ ძლიერ ნაქარბებად აღიჩინა კომიტეტის წევრები; არ იყო ყურადღება მიქცეული აღჩნეული კომიტეტის წევრების ერთი ერთმანეთისაგან დაშორებულ ცხოვრებაზე, ამასთან კომიტეტის წევრებად იყვნენ არჩეული ისეთი პირებიც, რომელთაც სრულებით არ ჰქონდათ მოკალემა სამასხურისამებრ. ანან გომიწვია ის, რომ კომიტეტის წევრების შეკრება საქმეზე მოსალაპარაკებლად გაძნელდა და ამით მინდობილი საქმე ვერ მოიყვანა სისრულეში.

დროის უქონებლობისა გამო ვერ ჩაიბარა შეწირული ჩვენგან წიგნთ-საცავი და ვერ დაამზადა სასაუბრო და საკითხავი წიგნაკები. სამწუხაროდ, მათი მეუღლების სურვილი, რჩევა და წინადადება საუბრების და საკითხავების გამართვის შესახებ სამწყსოსთან აღუსრულებელი რჩება.

პატივცემულ კრებას მოგხსენება კარგად, რომ დღევანდელი გონებითი მდგომარეობა საზოგადოდ მრველთა სრულებით შეიცვალა. ხალხში გაერყევიდა წერა-კითხვა; ამით ისარგებლეს მრავალთა გარეწართა პირთა და შეიკრებულ და გულუბრყილო მაზრად თაობათა შორის აგრცდევებენ უკულმართ და მანვე შინაარსის წიგნაკებს. ამასთანავე უკულმართი შინაარსის წიგნაკების წყალობით და ხშირად უფიც პირთა უკულმართ სწყვლამოდღვრებით და მიმართულებით, უსწყვლელ ხალხთა შორის იბადება შემცდარი აზრი სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე, ქვეყნისა და კაცის გაჩენაზე. იმ დროს როცა ზოგიერთი უმცვარი ფულების სიხარბისთვის სხვა-და-სხვა უაზრო და მანვე შინაარსის წიგნაკებს ავრცელებენ სამწყსოთა შორის ჩვენ, სამღვდლოება ვერცულებით გაჩუმებული ვართ და არას ვეუბნებით მრველს. მართალია დღეს ჩვენს სამღვდლოება არ არის ჯეროვანად მომზადებული, რომ ყველამ შესძლოს პასუხის გაცემა და ჯეროვანად დამწყსვა თავიანთ მრველთა, მაგრამ საკითხავები და დამზადებული საუბრების გამართვა-იკ ყველას უნდა შეეძლოს საუბედლოდ ამაშიაც დიდი სისუსტე გვემჩნევა.

დღეს ბევრია მშვენიერი შინაარსის სასაუბრო და საკითხავი წიგნაკები და ყველას ადვილად შეუძლია ამ სასაუბრო და საკითხავი წიგნებით სარგებლობა; ადვილათ შეუძლიათ ამ წიგნაკების საშუალებით მანვე შინაარსის წიგნაკების წყალობით გავრცელებული ასრი და მიმართულება მრავალთა გზა დაბნეულთა, გასწორონ და უკულმართ გახს და მიმართულებას ააღვიონონ. არ ვეპიჯობოთ, რომ ქეშმარიტი და ნამდვილი აზრი გავავრცელოთ ხალხში ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე, ქვეყნისა და კაცის გაჩენაზე.

ძლიერ სასურველია ყველასთვის, რომ დღეს არსებული რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნაკები იქნეს გავრცელებული ხალხში და სამღვდლოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცდილებამ დაგვიბოძია ჩვენ, რომ მართკ მოპოვება



ამისთანა სასარგებლო შინაარსის წიგნაკებას არ კმარა, საჭიროა მათი წაითხა და მათი შინაარსის შეგნება მრველთაგან. ეს უკა ასწავლი კი ერთ უმთავრეს მოძღვრის მოვალეობაა შეადგენს.

მათი მეუფეების ნებართვით და მოწინებებით ჩვენ უკვე ვებჭვადით რამდენიმე სამეგალითო საუბრებს დაბადებიდან. ამისთანა საუბრები ერთი უკვე კიდევ გამოიცა. ამ პირველ სასაუბრო წიგნში მოყვანილია შესანიშნავი სწავლული პირის საუბრები დაბადებიდან ქვეყნისა და კაცის გაჩენაზე, მეორე წიგნაკში იქნება მოყვანილი საუბრები ოჯახობის დაარსებაზე და მესამე-კი პატრიარხების და წინასწარმეტყველების ცხოვრების ისტორიის შეადგენს.

სრული დარწმუნებული ვართ თუ სამღვდლოება ამ წიგნაკების აზრს და სწავლას გაავრცელებს სამწყსოთა შორის იგი დიდთა ასიამოვნებს მრველს და სრული იმედია მრავალს მათგანს დააყენებს ქვემარტ გზაზე და გაუფანტავს მახინჯ, მაგნე და შემედარ აზრს, გავრცელებულს ზემოხსენებულ მაგნე შინაარსის წიგნაკების წყალობით.

ასისწარულოდ უნდა განვაცხადოთ, რომ საერო პირებშიც კი აღმოჩნდნენ ზოგიერთები, რომელნიც თანაუგრძნობენ სამღვდლოებას და უფასოდ აწვდიან სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შინაარსის წიგნებს, ოღონდ კი სამღვდლოებამ წაუკითხოს იგინი ხალხს. ამისთანა პირებთა შორის სწორედ შესაშინვეია პატრიცემული იოანე ლეჟავა, რომელმანაც დაგვაბეჭდინა ორი ათასი ცალი წიგნაკი, ცხოვრებს წადათაშორის მამის ჩვენის ნეოლოზს საკვირველთ მოქმედისა და ვადმოგვცა უფასოდ დასარიგებლათ ეკლესიებზე, იმ იმედით, რომ მღვდლები წაუკითხავენ ამ წიგნაკს თათიანთა სამწყსოთ. ბატონი ლეჟავა სხვა მრავალ მშვენიერ შინაარსის წიგნაკებს ავრცელებს ხალხში.

არა კმარა მარტო წიგნაკების ავრცელების და საიდუმლოების შესრულება. მღვდლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს სწავლება მრველთა და დამწყებს მათი. ამას გვიბრძანებს იესო ქრისტე, მოციქულები და წმიდა მამანები; ამასვე გვთხოვს და გვიბრძანებს მღვდელთმთავარი, ვინ არის ყველაზე მეტად ვალდებული დავხმაროს მღვდელთმთავრს ამ შემთხვევაში? რასაკვირველია, ყველაზე მეტად ბლოლიონინი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მამა ბლოლიონინი ამ შემთხვევაში მიიღებენ მზურვალე მონაწილეობის და მოიყვანენ სისრულეში მათი მეუფეების სურვილს საუბრების და საკითხავების გამართვის შესახებ.

მწყემსთაგან სამრველოსთან. ამასთან იგივენი მოიგვანენ სისრულეში სამაზრო წიგნთ-საკავის დაარსების და მოქმედების საქმესაც. ზოგიერთმა საბლოლიონინებმა წარსულ წელსივე განაცხადეს სურვილი საბლოლიონინო წიგნთ-საკავების დაარსებისა. კეთილი და პატიოსანი! თუკი შეძლება იქნება, რასაკვირველია, კარგი იქნება თითოეულ საბლოლიონინოში წიგნთ-საკავები, მაგრამ ეს არ მოუშლის რამდენიმე საბლოლიონინოს სამაზრო წიგნთ-საკავის დაარსებას.

ბლოლიონინებმა სხვა-და-სხვა მოსაზრების და მოფიქრების შემდეგ საჭიროთა დინახეს გამოიწვიონ ამ პირველ შემთხვევაში აღნიშნული სასაუბრო წიგნაკები თითო-ორ-ორი ცალი კრებულისათვის და ავალონ კრებულით, რომ მათ წაუკითხონ მრველთა მოზნდელი დროს როცა იგინი არიან შეკრებილი. მოზნდელი დრო, ბლოლიონინებს ახრით, ამ საუბრებისა და საკითხავების გამართვისა არის ლეთისმსახურების გათავების შემდეგი. თვითთელი ბლოლიონინი ამ საგნის შესახებ მოახდენს საბლოლიონინო სამღვდლოების კრებას, რომელზედაც მოილოაპარაკებენ, რომ მათი მეუფეების წინადადება და სიტყვა საქმედ იქცეს და ამ სახით დათესილმა ლეთის სიტყვამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს.

დასაჯგანეს: ვთხოვს მათ მეუფეებს ნებართვა და ლოცვა-კურთხევა საქმის დაწყებისთვის; მოგვეცეს ნება მათი მეუფეებისაგან აღნიშნული სასაუბრო და საკითხავი წიგნაკები გამოიწვიოთ თითო-ორ-ორი ცალი კრებულისათვის და მეტიც მსურველთათვის მათი საფასით, ვალად დაუღვინოთ კრებულთ ეს წიგნაკები და საუბრები მოზნდელი და ჯგროვან დროს შეკრებილ სამწყსოთა წაუკითხონ და განუმარტონ. შესახებ სამაზრო და საბლოლიონინო წიგნთ-საკავების დაარსებისა მსჯელობა გადადებულ იქმნეს შემდეგ საბლოლიონინო კრებამდისინ, რომ თითოეულ საბლოლიონინოში სამღვდლოებდასთან მოვილოაპარაკოთ როგორც სამაზრო ისე საბლოლიონინო წიგნთ-საკავების დაარსების შესახებ.

დასწრე.

დასაფლავება 104 წლის აღამიანისა.

ს. კლდეეთში (შორაპნის მაზრა) 21 სექტემბერს გარდაიცვალა დრმა მოხუცებული მელანია ქუმბაძის ქალი, დედა მთავარ ლეიკონის მაქსიმე პავლეს ძის ქუმბაძის, რომლის დაკრძალვის დღე იყო დანიშნული 24 სექტემბერს. ამ დროს მიწოდებულნი



იყენენ ადგილობრივი ბლაღოჩინი დეკ. დ. ლა—ძე, სხვა სამღვდლონი და საზოგადოება. აქ არ იყო სრულებით გადაბრანქული თვალთ მაქცურა იმერული ტირილი. ანდერძის შესრულების დროს, მიკვალეზულის სიძემ მღვდელმა ალექსანდრე არდიშვილმა, თვალ-ტრემლით აღვილიმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა რომლითაც დაახსიათა განსვენებულის ცხოვრება:

«მატიცემულნი მოძღვარნი და დამსწერნი! მე მსურს გავაცნოთ თქვენ წინაშე მდებარე ღრმა მოხუცი განსვენებულის ვინაობა და მოღვაწეობა. ამ დედა ქალის წლოვანება არის 104 წელი დაბადებიდა. ამ წლოვანებაში მყოფს მას არ დაკარგვია მოძრაობა, მხედველობა, სმენა და გულის მებსიერება. არ იყო მაღალი გვარ-ტომის, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, ზნეობით და ხასიათით, მლოცველობით, ობლებ ქალ-ვაჟთა ერთგულობით და ოჯახის პატიოსნად დაცვით ღიღით მაღლა იდგა მაღალ ჩამომავლობათა გვაროსნებზე. ეს დედა ქალი დაქვრივდა 1843 წელში და მას აქეთ სულ შრომაში გაატარა დღენი თვისნი. ამ საწყალ დედა კაცს მეორე მხრით კისერზე მძიმე ტვირთად დაედო მოსავლელად ღრმა მოხუცი მისი ობლების ბაბუა, ამა ეკლესიის ყოფილი მღვდელი ნიკოლოზ ქუმბაძე, მაგრამ ყველა ვასპირის მამაკად კაცივით ებრძოდა და აი ამ რიკათ, ვაქირვების დროს, მიმითვისა მე სიძეთ, იმ იმედით, რომ მწუხარება და შრომა მოიშოროს, მე დავეხმარო და მისი შრომა შეუშუსბუქო, მაგრამ საცლადგმა უფრო მეტ შრომაში ჩაივლო თავი. ასე რომ, ორი ოჯახის მოვლა და შრომა თვის დედო, ე. ი. სიძის და ვაჟის. ორივეს შეიღლები მან აღზარდა ის არიგებდა და ის უნერგავდა დღთის შიშს და სიყვარულს მათ პატარაობისას.

ცხლა საყვარელო დედა მეღანია, შენი ამდენი შრომა, მოვლა-შემწეობა, რითი გადავიხადეთ მე და ჩემი შეიღებმა? მით, რომ—ამ ოთხ ფიცარში მოეხუთეთ შენი წა-სულის ნაშით და ჩემის ხელით, რომელსაც შენ ხშორად მიკონიდი და მეტყობი: «ამ ხელწმინდა დამარხვა მელირსოსო» ამ თხოვანს გისრულებდა და შეე მიწას უნდა მიგაბარო; ამის მოყოლიდა ჩემგან? შენი დაზრდილნი შეილი-შვილები რითი ვიხდიან შრომას? ცხელი ტრემლის დენით, რომელნიც თავზე გადგიან და დატარაინ. მაგრამ ყველანი აქ არ არიან და არც იციან ეს, შენი

უკანასკნელი დღე. მაგრამ, დარწმუნდი, დედა, იგინიც იგრძნობდნენ შენს სიკვდილს. ერთი მათგანი ახლო ხანად მწერს: «ჩემი ბებია მომიკითხეთ და გულში მიკონეთო» ვასრულებ, დედა, მისს სურვილს და გიკონი იმ საყვარელ გულს, რომელმანაც ესეთი სიყვარული ჩაუნერგა თავის შვილი-შვილს.

მშვიდობით დედა, მშვიდობით. ჩემო გულ-კეთილო ჭ ღვთის მოყვარულო, მშვიდობით, ღმერთ-მან დავამკვიდრო მართალთათანა.

უკანასკნელი სიტყვებზე მთელი დამსწრე საზოგადოება ატირდა, რომელთაც ალბად იცოდნენ განსვენებულის კეთილი თვისებანი.

ამ შემთხვევას სწორედ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ დაუმტკიცოთ საზოგადოებას თუ როგორი იყვნენ ჩვენი ძველი ადამიანები. სიდდარი იგივე მხრუნველი დედა იყო სიძისა და არა მტერი და საძულელი, როგორც დღეს არიან მიჩნეულნი თითქმის ყველა ცოლის დედები..

ღამსწრე.

შ შ რ ა ლ - გ ა ზ ი თ ე ბ ი დ ა ნ .

ბძალა ანტანასიან. „რუსკოე სლოვო“ 4 ს კორესპონდენტი ბ-ნი ლოდუენსკი დებუთ იუწყება მუკდენიდან: აღმოსავლეთის რაზმს მეტად მძიმე და რთული საქმე ჰქონდა მინდობილი, —გენ. კურაკის არმიისათვის გვერდიდან უნდა მოეველო და ზურგიდან მოჰკეცოდა. რაზმს გზაში ბევრი საშინელი დაბრკოლება აღმოუჩნდა. საშინელის წვალებით იღებდა მაღალ გორებს, მაგრამ ზარბაზნების ატანას ვეღარ ახერხებდა, იაზონელებს კი წინაღვე აეტანად და მარჯვე ადგილებში დაეფათ სამთო ზარბაზნები; რამწაშს რუსები გორებზე ავიდოდნენ, იაზონელები მაშინვე ზარბაზანს უშენდნენ და მუსრს ავლებდნენ. არც თუ ადგილის მდებარეობა და ამბავი იცოდნენ. რუსებმა. 1 ოქტომბერს ყველგან საცა რუსის ჯარი იდგა, საშინელი წვიმა მოვიდა, უშიშროვად უფარგისი გზები უფრო წახანდნა და წალევა და საქმე უფრო გაუჭირა რუსის ჯარს. უნდა ვსთქვათ, რომ რუსის ჯარის გალაშქრება მარცხით ვათავდა, ვერც იაზონელების მარჯვენა, ფრთეს (გენ. კურაკის) შემოვლურეთ გვერდიდან,

ზარალიც მეტად დიდი მოგვივიდა. ჩემის აზრით, გინდა ამას იქით უკეთესადაც წავიდეს ჩვენი (რუსების) საქმე, ახლო ხანში მიინც ისე ვერ გავიმარჯვებთ, რომ ამ გამარჯვებამ ომის საქმე გადაწყვიტოს. ამბობენ, იაპონელები «სულით დაეცნენო», მაგრამ ეს სულ იმ ვაებატონების მოგონილი იყო, ვინც ბრძოლაში მაივრად შეკედნის ბუფეტში ირევიან. ეჭვი არა მაქვს, იაპონელები თავიანთ პოზიციების ყოველ ნაბიჯს მედგარად დაიცავენ და სანამ რუსები ჯარის სიმრავლით არ გაჰსრესენ, უიმიოდ ისე არასდროს არ გავგამარჯვებინებენ, რომ მრავალ ტანჯულ პორტატურს მივეშველნეთ. ჩვენ თვალ-წინ მთელი პოლკები დაილია, დიდ-ძალი ავიცერი გასწყდა და დაიქრა; აქედან სჩანს, რომ რუსის ჯარი მამაცად იბრძვის, მაგრამ არა ჰქვას, მეტად დიდ გაჭირვებაშია ჩაფარდნილი... საღატურ მუკუნეზე, სულ მცირე, ოფიციალურის ანგარიშით, 23 ათასი დაქრილი გამოატარეს; მაგრამ ამას გარდა, მეორე გზითაც მიჰყავთ პირ-და-პირ ტელინისაკე».

«რუსს»-ს კორესპონდენტი სწერს; 30 სექტემბერს რუსის ჯარმა იერიში მიიტანა სოფ. ენდონიულუხე და ერთ უსახელო სიმაღლეზე, რკინის გზის აღმოსავლეთით, თქნდა უკან დაეხრებინა, მაგრამ ვერას გახდა. თქმეცა რუსის ჯარი მეტად მამაცად იბრძოდა, მაგრამ იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი და თოფი რუსებს და ახლოც არ მიუშვეს სანგრებთან. ზოგიერთ როტაში 12-15 კაცი-და დარჩა; ავიცრები სულ დახოცეს და დასქრეს; როტებს უნტერ-ავიცრები და უბრალო სალდათები უფრფრესობდნენ. დიდი საცოდაობა იყო. ერთი ავიცერი ერთის მუჟა ჯარით-და დაბრუნდა ბრძოლიდან. სალდათები თითქმის სულ დაქრილები იყვნენ. გენერალი გაუწყრა ავიცერს: «როგორ გაჰყვდეთ, პოლკს თავი რად დაანებეთ! ესლავე დაბრუნდით! სდ არის თქვენი პოლკი?» — «ესა პოლკი, თქვენო აღმატებულეზავა», მიუგო ავიცერმა. «როგორ, ესლა დარჩა» — ჰკითხა თავზარდაცემულმა გენერალმა და სალდათების ერთი ბეწო ჯგუფს შეჰხედა. — «ღიბ, ესა სულ ჩვენი პოლკი», უპასუხა ავიცერმა; თან სახეზე წურწულით სისხლი ჩამოსდიოდა. თავში იყო დაქრილი. გენერალი გაჟიშდა... რუსის არტილერიას მუდამ ეკებდი, ესლა იაპონელების არტილერიაც უნდა ვაქო: იაპონელების არტილერია ამ ბრძოლის დროს შეუდარებლად

მოქმედებდა, ქება და დიდება აღარა სჭირა. რუსის ჯარი რომ იერიშით მიდიოდა, იაპონელები სწორედ ორიოდ წამში სულ მუსრს ავლებდნენ და ნამდვილად სპობდნენ იერიშით მომავალ პოლკებს.

„რუსკია ვედმოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ჰეიქრობს, რუსის ჯარს იანტაისთან და მდინარე შახზე ბრძოლის დროს 2 ოქტომბრამდე 41 ათასამდე კაცი დააკლდებოდა დაქრილი და მოკლულით. ს. კ. სწერს: „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ოლოჟენსკი იუწყებოდა: მუკუნეში სულ მცირედ 23 ათასი დაქრილი მოიყვანეს, ამას გარდა ბევრი პირდაპირ ტელინისაკენ წაიყვანეს, ესე იგი ფუშუნისა და ინჰანის გზითაო. ამ ომის დროს ხუთ დაქრილზე ერთი მოკლული, ან ბრძოლის ველზე დარჩენილი მოდიოდა, ამიტომ დასავლეთ რაზმს სულ 28 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული და დაქრილი. თუ აღმოსავლეთ რაზმსაც ასეთივე დიდი ზარალი მოუვიდა, მაშინ გამოვა, რომ რუსის არმიას 2 ოქტომბრამდე 41 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული და დაქრილი, ესე იგი ისეთივე ზარალი მოჰხვლია, როგორც ბოროდინოს ბრძოლის (ნაპლეონთან 1812 წ.) დროს მოუვიდა. თვალთ მნახველნი ამბობენ, იანტაისთან და შახზე მთელი ოთხი კვითა პოლკი და 3 დივიზიონი (72 ზარბაზანი) არტილერია წყალივით დაილიაო...

30 სექტემბერს გენ. ნოძუს არმიის მარცხნა ფრთე და გენ. ოკუს არმიის ფრთე უკებ დაეცნენ მე-9 დივიზიის პირველ (გენ. რიბინკინის) ბრიგადას, უკუ ადგეს და არტილერიის მე-9 ბრიგადის მე-2 დივიზიონი სულ განადგურეს (დივიზიონში 24 ზარბაზნია). ორის-სამის საათის შემდეგ ნოძუს ჯარი მე-31 დივიზიის მე-2 ბრიგადას (კვოლოვსკი და ვორონეჟსკი პოლკები) დაეცა და შახებუასკენ დაახვეინა, მაგრამ რუსები აქაც ვერ გაუმარჯდნენ იაპონელებს. გენ. ნოძუს ჯარი ფიცხად გაქანდა წინ და შახებუ დაიქირა. რუსის პოლკებს ავიცრების უმეტესობა მოუკლეს და დაუქრეს; ამიტომ რუსები მდ. შახეს გაღმა გავიდნენ. ასე რომ 1 ოქტომბერს რუსის ჯარი მდინარე შახეს მარჯვენა ნაპირად დადგა. გენ. შტაკელბერგის კორპუსიც შახს ნაპირას მოვიდა და დასავლეთის რაზმის გვერდზე დადგა. აღმოსავლეთ რაზმა კი ვეღარ მოასწრო მუკუნის გზით წსვლა და პირდაპირ ფუშუნისაკენ დაიხია; გენ. ნოძუმ მუკუნის გზა დაიქირა და აღმოსავლეთ-



თის რაზმი მუკდენისაკენ აღარ გაუშვა. გენ. კუროკი ფხვდაფხვ გაჰყვა აღმოსავლეთის რაზმს და ბანიუ-პულხან 4 ევრსტის მანძილზე, სამხრეთით სოფ. შანზინტიანისთან იერიში მიიტანა აღმოსავლეთის რაზმის უკანა ჯარზე, დანარჩენი რუსის ჯარიკი 1 ოქტომბერს მდ. შახენზე დადგა. (რ. ვ.)

ერთს სიტყვით რუსის არმია, ლიოიანისაკენ წასვლის მაგივრად, უკან დაბრუნდა და მუკდენის სამხრეთით მდ. შახეს პირად დადგა. „რუსეთი ველო-მოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: «გენ. კუროპატკინმა ეს მიხეთქედ გაილაშქრა იაპონელებზე იერიშის მისატანად და ეს გალაშქრებაც წინანდებურად უკან დახვეით დასრულდა. რუსის ჯარმა ნელ-ნელა ისევ მუკდენისაკენ გასწია. მართალია 1 და 2 ოქტომბერს ბძძილა ჯერ გათავიუფლი არ იყო, მაგრამ გენ. კუროპატკინი ახლა მხოლოდ იმასა სცილილობს, რომ იაპონელებმა არ მიუსწრონ და მდ. ხუნხეზე ხიდები არ ჩაიგდონ ხელში. რუსის ჯარი წინ გალაშქრებასა და იაპონელებზე იერიშის მიტანას აღარ ფიქრობს...»

* * *
 ჟურნალ «იურისტა»-ში მოყვანილია შემდეგი საყურადღებო შემთხვევა ვ. კ. პლევეს მინისტრობის დროიდან:

„ამ ერთი წლის წინად პეტერბურგში ხმა დაჰყარეს, ერთ გუბერნატორს საყურადღებო საუბარი ჰქონდა მინისტრ პლევესთანაო. გუბერნატორმა რაც საკვირო აყო, ოფიციალურად მოახსენა მინისტრს და წასვლას აპირებდა. მინისტრმა შეატყუა, რომ ჰკვიან კეთან აქვს საქმე და მოისურვა მისთან გულახდლილდ ლაპარაკი შინაგან საქმის ვითარების შესახებ; „მითხარით,—მიმართა მინისტრმა გუბერნატორს,—მითხარით, როგორც თქვენდამი მეგობრულად განწყობილ კაცს, თქვენის აზრით რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ამ ჟამად?“ კითხვაზე გუბერნატორმა უპასუხა: «ჩვენ, შიდა რუსეთის მკვიდრნი, ყოველ ფეხის გადადგამაზე ვგრძნობთ ჩვენს არა-ნორმალურ მდგომარეობას. აქ პეტერბურგში შეტად დიდ ყურადღებას აქცევენ საპოლიციო ზომებს; პოლიციის გაძლიერებას და მცირე ყუღადღებით ეკიდებიან ხალხის გაქირვებას, რომელსაც დაუყოვნებლივ შველა უნდა. თქვენ არ ენდობით იმ ხალხს რომელსაც განაგებთ: ყოველ საშუალებას ხმარობთ, რომ ხალხი თავის საკუთარ, მისთვის ფრიად მნიშ-

ვნელოვან, საქმეს, ამ საქმის გამგეობას მოაშორით. იქ, სადაც თვით მართველობა არ არის, ხალხი თავის საქმეს არ განაგებს,—კეთილდღეობაც შეუძლებელია. ამას უცხო სახელმწიფოების მდგომარეობა გვიმტკიცებს. არის ისეთი კანონები ცხოვრებისა, რომელთა დავიწყება და ათვალწუნება შეუძლებელია.»

მინისტრმა მოისმინა თავის მოსაუბრის გულწრფელი სიტყვა და დაფიქრდა: ვ. კ. პლევე მიხვდა, რომ მის წინ ნამდვილი ქვეშაირტება დალადებდა.

* * *
 აი, რას მოგვიხსრობს თავ. მეშჩერსკი თავის «გრადანინა»-ში პოლონეთის ერთის გიმნაზიის შესახებ:

„გამორიკვა გიმნაზიის მთავრობის პედაგოგიური უტაქტიკობა და უგუნურება. როგორც აღმოჩნდა, პოლონეთის ყველა სასწავლებელში, ვითომდა გასარუსებლად, შეუქმნიათ ისეთი რამ, რაც ეროვნულ და სარწმუნოების ნიადაგზე მხოლოდ უწყსაგებებს და არეულობებს იწვევს. ამისათვის იარაღად ის ლოცვა გაუხდიათ, რომელსაც სწავლის წინ სკოლაში კითხულობენ. ეს ლოცვა პოლონეთის ყოველ ბიჭთვის ერთ ფურცელზე ოთხ ტექსტად ყოფილა დაბეჭდილი: 2 ტექსტი უცვლელად დაბეჭდილია რუსებისა და პროტესტანტებისთვის, მესამე ტექსტი მცირედის ცვლილებით რეფორმატორებისთვის და, დასასრულ, მეოთხე ტექსტი დიდის ცვლილებით პოლონელ კატოლიკეთათვის. აი, ამ სერიოზულ და ამაყ დროს სულელურ ფაქტის შესახებ არაფერ არაფერი უწყობდა პოლონეთში და გაიგეს მხოლოდ ესნა დემონსტრაციების შემდეგ, რომელიც ერთ გიმნაზიაში მიხდა. სამ ზემოხსენებულ ტექსტში ლოცვა ამ სიტყვებით თავდება: „ეკკლესიისა და მშობლების სანუგეშოდ და სამშობლოს საკეთილდღეოდ. მეოთხე ტექსტში ჰქუა მახვილ პოლიტიკოს პედაგოგებს შემდეგი ცვლილება შეუტანიათ პოლონელ კატოლიკეთათვის: „ხელმწიფისა და მშობლების სანუგეშოდ და მთელის კუთხის საკეთილდღეოდ... პოლონელ კატოლიკეთათ ლოცვაში ამოშლილია, ვითომ არც-ც არსებულთან, ეკკლესიისა და სამშობლო, ხოლო ამათ ნაცვლად ჩასმულია სიტყვა „ხელმწიფე“, რომელიც რუსებისა, პროტესტანტებისა და რეფორმატორების ლოცვაში სულ არ არის მოხსენებული. ამ რიგად, პოლონელმა



კატოლიკემ ოთხ დასახელებულ ტექსტში ის რომ აარჩიოს, რომელიც რუსებისთვის არის დანიშნული, უთუოდ პოლიტიკურ დამნაშავედ იქნება აღიარებული, რადგან პოლონელმა, პედაგოგების სურვილით სამშობლო და ეკლესია არ უნდა ახსენოს. რვა წელიწადია, რაც ასეთი ხაფანგი დაუგეს პოლონელ ბავშვებს, ესე იგი ისეთი რამ გამოუგონეს, რომლის მეოხებითაც ყველა მოსწავლე სულ უბრალოდ შეიძლება პოლიტიკურ დამნაშავედ გადაიქცეს. რა თქმა უნდა, ბავშვები პოლიტიკურ დანაშაულობას ჩაღიან სასკოლო დისციპლინის წინააღმდეგ, როდესაც უარს აცხადებენ ზემოდ დასახელებულ ლოცვაზე. მაგრამ ჯერ ერთი—ამას ჩაღიან ბავშვები, მეორე—ვკითხავ ყველა პიტიოსან რუსს, მოშიგოს გულწრფელად: შეეძრება თუ არა ბავშვების საქციელი იმ დიდ დანაშაულობას, რომელსაც დირექტორი და პედაგოგნი სჩადიან, რომელნიც ასეთ პროვოკატორურ ხერხს არ ერიდებიან და ლოცვას ამახინჯებენ ჯალათურ იარაღისთვის. აი, ასეთ ნიადგზე მოხდა დრამა გიმნაზიაში, რომელმაც ასი ყმაწვილი იშავერბლა: გააგდეს ასი მოსწავლე. ნუ თუ ასეთი დირექტორები ყმაწვილების აღმზრდელებად უნდა იყვნენ?

* *

ომა და ანაზურა * * *
 ომა და ანაზურა სკოლა. ეხლან დღემა ომმა დიდი გავლენა იქონია, სხვათა შორის, იაპონურ სკოლაზედაც. ომის მეოხებით მეკადინეობამ სკოლაში სხვა ხასიათი მიიღო. გიმნასტიკასთან ერთად ბავშვებს ეხლა სხვა-და-სხვა სამხედრო საქმეებსაც ასწავლიან. ხშირად შეხვდება ეხლა კაცი იაპონიაში მთელ რაზმს მოსწავლეებისას, რომელნიც, მასწავლებლების წინამძღოლობით, თოფებით ხელში ცერემონიალის მარშით მიდიან. ხშირად სკოლაში ესა თუ ის სამხედრო ვარჯიშობა იმართება, ამასთან აჯილდოვებენ იმათ, ვინც ამ ვარჯიშობის დროს თავს ისახელებს. პატარა ქალებს ასწავლიან დაჭრილთა მოვლას. ქალებს აცემვენ მოწყალების დების ტანისამოსს და ოთახში ამწკრივებენ იმ დროს, როდესაც გარედ ეზოში აქა-იქ წვანან დაჭრილი მემორბები, ესე იგი მოსწავლე ბავშვები. პატარა ქალები „უფროს ექიმის“ ნიშანზე გარბიან გარედ და „მამაკად მემორბებს“ ქრილობებს უხევენ. ქრილობების შეხვევას ისე ასწავლიან, რომ მოსწავლე ქალები ამ საქმეში ფერშალს არ ჩამოუარდენ-

ბიან. იმ ქალს, ვინც ადრე შეუხვევს „ქრილობას“ და თავის ადგილზე დაბრუნდება, საჩუქარი ეძღვევა. ასეთი მეკადინეობა და ვარჯიშობა ძალიან მოსწონს თურმე ახალგაზრდობას.

წერა-კითხვის არ მკადნე სადღათეობა. ბელგიურ ვაზეთებში საყურადღებო სტატისტიკაა დაბეჭდილი ჯარში ახლად გაწვეულთაგან წერა-კითხვის არ მკოდნეთა შესახებ. როგორც ამ სტატისტიკიდანა სჩანს, 1000 კაცში წერა-კითხვა არ იცის:

გერმანიაში	1 კაცი
შვეიციაში	1 „
დანიისში	2 „
შვეიცარიისში	20 „
ჰოლანდიაში	23 „
ინგლისში	37 „
საფრანგეთში	47 „
ბელგიაში	101 „
იტალიისში	329 „
ავსტრია-ჰუნგარეთში	351 „
რუსეთში	617 „

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, პეტერბურგის უმაღლეს საქალეობა კურსებზე ებრაელ ქალებსაც მიიღებენ, მხოლოდ მათ არ უნდა აღემატებოდეს მართლმადიდებელ ქალთა მთელ რიცხვის ხუთ პროცენტს.

* * * შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუყვლი, რომ საზღვარ გარედ გამოუგონიათ ჩინებულის საშუალება ცეცხლის ჩასაქრობად. სამინისტრომ დაიბარა ახალ გამოგონებული მანქანა და მოკლედ დროში უნდა გამოსკადოს.

* * * ოფიციალურის ცნობებით, 3 და 4 ოქტომბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 16 კაცი, გადაკლილა 7 კაცი. თავრისში ამ ბოლო დროს ძალიან გაძლიერებულა ხოლერა, ამ ქალაქში 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე მომკვდარა 3,500 კაცი. მარტო სამ ოქტომბერს ხოლერისაგან მომკვდარა 500 კაცი. შიდა რუსეთში სარატოვს გარდა ხოლერა სუსტად გაჩენილა სამარასა და ასტრახანის გუბერნიის სოფელ რახნიკაში.



კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ტფილისის სათავად აზნაურთა სკოლის ინსპექტორად დროებით დაამტკიცა ბნი ჩიტაძე.

* * აღდასაშო მოხდა შეაბრეშუმეთა კრება, რომელიც ნ ოქტომბერს დასრულდა. კრებამ, სხვათა-შორის, ერთ ხმად სურვილი გამოსთქვა, შემოდგებულ იქნას კავკასიაში საერაობა დაწესებულენანი. (ენ. ფურც.)

* * როგორც ოფიციალუ ცნობებიდანა ჩანს, თავისუფალი ადგილი კავკასიაში რომელ-ზედაც განზრახულია რუსეთიდა გადმოსულითა დასახლება, ერთ მილიონ დესეტენას უდრის. ამ რიცხვში ჩათვლილია შირაქის ველიც, როლშითა დღეს თუ-შეშვა-კახულ-ქიზიყღები სარგებლობენ.

* * ოფიციალურის ცნობებით, მდგომარე წლის პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე კავკასიის გზით რუსეთიდან კავკასიაში მოსულა დასახლებულად 118 ჯგუფი, სულ 9853 სული. 80 ჯგუფი სხვა-და-სხვა ადგილას წასულა დასახლებულად, ხოლო 38 - უკანვე დამრუნებულა.

* * 27 სექტემბერს, დაკრალეს გვამი სტეფანე ზუბალოვილისა. დილიდანვე დიდძალი ხალხი შეიკრება ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. ცხებარი ესვენა ეკლესიაში. კუბთ მრავლის გვირგვინით შემკეს. სხვათა შორის, გვირგვინები იყო: „ქ. შორისის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებისა“, „ქართულ დრამატულ საზოგადოებისა“, სიფხიზლისა და სახალხო საზოგადოებისა, რუსეთის სატენისი საზოგადოების ბაქოს განყოფილებისა, ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მრევლისა, ტფილისისის სათავად-აზნაურთა სკოლის მწევრობის ამგებ კომიტეტისა, ქართულ სახალხო წარმოდგენების სექციისა, ტფილისის სამუსიკო სასწავლებლისა, ბიბლიოთათის სამრეწველო დაწესებულებათა ხელოსნებისა, ტფ. სათავად-აზნაურთა სასწავლებლისა, ტფ. ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მრევლისა, თავად-აზნაურთა შეუღლებულ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა, ბაქოს სამრეწველოთა მოსამსახურებისა; ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და დებუტატთა კრებისა, კათოლიკეთა პეტრე და პავლეს ეკლესიისთან არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოებისა და განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და პატივისცემელთაგან. დილის 11 საათამდე ეკლესიაში დიდძალმა საზოგა-

დობამ მოიყარა თავი. იყვენ როგორც ქართულ, ისე სხვა დაწესებულებათა წარმომადგენენი, ინტელიგენცია ჭ ხალხი. მოსულიყვენ მრავლად აგრეთვე ის ქვირე-ობოლნი, რომელთაც განსვენებული დახმარებას უწყევდა. ფრანგულსა და ქართულ ენაზედ გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. წირვის დასრულების სიტყვები წარმოასთქვეს ბათუმის ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელმა პატრმა მ. მღერბის-შვილმა და ტფილისის კათოლიკეთა—მ. მულასაშვილმა და აგრეთვე კათოლიკეთა სამრევლო ეკლესიის მეთვალყურემ. პანაშვიდის გადახდის შემდეგ განსვენებულის გვამი შუა ბაზრიდან ერევნის მოედანამდე ხელით მისვენეს, შემდეგ კატაფალკაზე დაასვენეს და პაროცესია კათოლიკეთა სამღვდლოების მეთაურობით სოლოლაკის ქუჩით გაემართა კათოლიკეთა სასაფლაოზე, სოლოლაკის ზემოდ, სადაც, სხვათა შორის, ზუბალოვილების საგვარეულო სამარხია. სასაფლაოზე მცირე პანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა გამოსათხოვარი სიტყვები. პირველად სიტყვა წარმოასთქვა ტფილისის ქალაქის მთურავის მოადგილემ იავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, რომელმაც; სხვათა შორის, აღნიშნა ის, თუ განსვენებულმა რა დიდი სამახტური გაუწია ქალაქს სახალხო სახლის აგებით. ამ სახლში მოთავსებული იქნება სახალხო თეატრი, სახალხო აუდიტორია და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მერე სიტყვა წარმოასთქვა ი. ვ. როსტომიშვილმა. თავ. აკაკი წერეთელმა აღნიშნა, რომ განსვენებული სტეფანე იმ მდიდართა გუნდს არ ეკუთვნოდა, რომელიც მარტო ხალხის ძალა-ქონებას ისაკუთრებენ პირად ბღენიერებისთვისაო. სიტყვები წარმოასთქვეს სხვებმაც.

* * 8 ოქტომბერს მუქდენიდან აუწყებენ „პარავიტ. ვესტ.“-ის: 8 ოქტომბერს მანჯურის არმიამ გამოცხადებულია შემდეგი უმილღესი დებეშა: „სამაგნებით გამღვეთ ნებას დაჯადღოფოთ გუქრანდ-მაიონა ზუკალდოვი წმ. გიორგის მეათხე წანასის ორდენით. სახანულოთ მადეგებე ამაგს მტრანსან წართმეულ წანასუნებას და ჩემ საყვანელ ჯანას სასაქადლო მადგაწეობას შესახებ. გადაკეთ ჯანებს ჩემი მადღაბა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთი წამიანის მსრდელთა მქ-19 ზოაკს. უფალა გუჯანადეო. ნიკოლოზი“.

* * 9 ოქტომბერი. ბძოლა მდინარე შახეზე ამ უკანასკნელ სამ დღეს მიწყნარდა, თუმცა დღეს ჩვენ მარჯვენა ფრთაზე ზარბაზნების ცხარე სროლია.



ჩვენი მოწინავე რაზმები ამ ბოლო დროს შახეს გადავიდნენ, მთელ ფრონტზე თან-და-თან წინ მიდინან და იქერენ იაპონელთა მიერ დატოვებულ პოზიციებს. ჩვენი ჯარი წინსვლისა და გამარჯვების გამო კარგ გუნებაზეა, მიუხედავად იმისა, რომ დილ-დილობით ყინვა და ჩრდილოეთის ცივა ქარი უბერავს. იაპონის ჯარს, როგორც ეტყობა, ეწერება შემოაღწევა; ბევრი ტყვედაც მოდის ჩვენთან. ლამ-ლამობით იმათი ჯარი ფრთხება; ზოგჯერ უაზროდ სროლას იწყებს ხოლმე; ეტყობა, იაპონის ჯარის წინსვლა შეჩერდა. იაპონელები საჩქაროდ გავლილ გზაზე სიმაგრეებს აგებენ და ამაგრებენ უკანა პოზიციებს.

* * * ოიამა 8 ოქტომბერს იუწყება: იაპონელთა არმიის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. აქამდის იაპონელებმა 43 ზარბაზანი წაართვეს რუსებს.

* * * მუდენი. 10 ოქტომბერი („რეიტერი“). მთელ ფრონტზე გამწვავებული ბრძოლაა. რუსები ამ დღეებში დაჭრილ პოზიციებზე მაგრდებიან. ბოლონდელ ბრძოლის შესახებ მოსული ამბავი მოწმობს, რომ ორივე მხრით გამწვავებით იბრძოდნენ. სოფლები საესეა დაჭრილებით. იაპონელთა სათადარიგო ჯარის კაცნი ძველ თოფებს ხმარობენ; რბილ თუჯის ტყვიებისაგან ჭრილობა მძიმეა. ბევრი ჩინელი გლეხია დაჭრილი და დიდ გაჭირვებაში არიან. 30 ათასი კაცი მუდენში გადაიხვეწა. რუსის სალდათები თუთუნს და საქმელს აძლევენ იაპონელ ტყვეებს. რუსის აფიცრები ქებით იხსენიებენ იაპონელ სიმახეს. იაპონელებმა ჭრილობები შეუხვიეს რუსის რამდენიმე ტყვეს და ნება მისცეს თავის ჯარში დაბრუნებულიყვნენ.

* * * ტოკიო. 10 ოქტომბერი („რეიტერი“). იაპონელებმა ამის წინად 47 ტყვე რუსი გაანთავისუფლეს. ზოგიერთი ამ ტყვეთაგანი მძიმედ იყო დაჭრილი და სამხედრო სამსახური აღარ შეეძლო, ზოგიერთს სასანიტარო რაზმებში ემსახურნათ. ოფიციალური იაპონური გაზეთები ამ ტყვეების განთავისუფლების ამბავს აცხადებს, თან საჩივარს გამოსთქვამს, რომ რუსები ეწინააღმდეგებიან კონვენციას არ ასრულებენ, რადგან ისინიც, ვინც ბრძოლაში ბეჯითი მონაწილეობას იღებენ, წითელ ჯვრს ნიშანს იკეთებენ და ბრძოლის შემდეგ დაჭრილების მოვლას შეუხედავებინ ხოლმეო. ამ ჟამად იაპონიაში 3 ათასი ტყვე რუსი იქნება.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საჩქმუნებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ბ შ ვ ა .

მატაოსნა და ცხოველმყოფელა ჯგაფთ-ამადლებას დღეს.

სახელთა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა.

შეუძლებელია დაკვირვებულს ტყუარამდებელ მლოცველს გამორჩეს და ვერ შენიშნოს ის თვალთსაინო, იშვიათი საღმრთო მოქმედება, რომელიც დიდი კრძალულებით და მორიდებით, დიდი სასოებით და გულსმოდგინებით სრულდება დღევანდელ ცისკარზე. დადებულს დროს უმფროსი სამღვდელი პირი, ისვენებს რა პატოხან ჯვარს თუაზე, გამოდის საკურთხეველადან ეკლესიის შუა გულს და, მიტკეული აღმოსავლეთისაკენ, წყობილობს ჯვარის თანდა-თანობით, ნელ-ნელა, რაც შეიძლება მძიმედ და დინჯად დაბლა დაშვებას იძენად, რომ მიწასა და მღვდელმოქმედის თავის შუა, რომელზედაც უსვენია წმ. ჯვარი, დარჩეს არა უმეტეს ერთი ტაველი მანძილისა. შემდეგ ამავე სახით, ესე იგი თან-და-თანობით, ნელნელა და მძიმედ ამაღლდეს იგი ჯვარს ვიდრე მთლად გაიზარებება წელში. ამასავე ასრულებს მიტკეული დასავლეთისაკენ, სამხრეთისკენ, ჩრდილოეთისაკენ და კვალად აღმოსავლეთისაკენ, ბოლოს ასვენებს ჯვარს ანალოდიანზე, რომ მლოცველებმა თაყვანისცენ და აშბორს უყონ მას. რას მოასწავებს წმ. ჯვარის დაბლა დაშვება და მერე მისი ამაღლება, რითია საგულისხმო, სასარგებლო და გამოსაყენებელი ამ საღმრთო მოქმედების აზრის შეგნება—ამას მინდა მივაქიოთ თქვენი ყურადღება, ძვირფასნო მსმენელნო.

საზოგადოთ სიმალლიდან ძირს წამოსვლა, ჩამოვარდნა, დაბლა დაშვება, წელში მიხრია ნიშნავს დამცირებას; დამდაბლებას, უკეთესი მღვდომარეობი-



დან უარესში ჩადგომას, ბედნიერების მოკლებას, გაღარიბებას, დაუძღურებას, შეურაცხებაში, სიყვარულში და გაჭირებაში ჩავარდნას. წინააღმდეგ ამისა დაბოლოდან ზემოდ აწვევა, ამაღლება, წელში გასწორება მოასწავებს ძალის შექმნას, გამდიდრებას, გავლენიანობას, სახელს, ბედნიერებას, პატივითა და ღირებობა შემოსვას.

წელში იხრება მღვდელმოქმედი, ზემოდან ქვემოთ წამოაქვს მას პატიოსანი ჯვარი—მით წმ. ეკკლესია ვალად გიდგენს შენ, მორწმუნე მაყურებელო, გაითვალისწინო, ცხოველად წარმოიდგინო, ნათლად გამოისახო გრძნობა-გრძნებაში ის სიმდაბლე, ის დამცირება და შევიწროება, რომელიც დაითმინა შენი სულიერი ბედნიერებისათვის, შენი ცხოვრებისათვის, შენი გამოხსნისათვის ღვთის წვეცისაგან და ბოროტი სულის ხელშეწყობისაგან მაცხოვარმა შენმა იესო ქრისტემ; ვალად გიდგენს გაიტარო გონების თვალის წინ, რომ მხოლოდ შობილი და დაუსაბამო ძე ღვთისა შენი ცხოვრებისათვის დაიბადა ქალწულისაგან და იქნა ძედ კაცისა, მგუფე ცისა და ქვეყნისა მიიწვინა პირუტყვთა ბუასს, უფალი ყოველთა ემორჩილებოდა უბრალო ხუროს, მამად წოდებულ იოსებს, სულის მზრდელმად დაითმინა ორბოქო ღდე შიმშილი და გამოიღვებოდა ემშაკისაგან, ყოვლისა გამწმედელმა ნათელს იღო მონისა თვისისაგან, განიკიცა, ინერწყვა, გვემულ იქნა, ავახუათა თანა შეირაცხა, ჯვარს ეცვა, ძმრით განზავებული ნაღველი შესვა, სიკვდილი დაითმინა, სისხლი დაანთხია და დაიფლა მსგავსად უბრალო მომავლადვისა.

სწორდება წელში, იმართება, თან-და-თან ამაღლებს ჯვარს მღვდელმოქმედი ზე ამით გახსენებს, მსმენელო, ეკკლესია მაცხოვრის სამეუფეო ჩასვლას ჯოჯოხეთში გამოსახსნელოდ მართალთა, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას ზე მსათანა მკედართა აღდგინებას, ზეცად ამღვდლებს და ჩვენი ბუნებას განმღრთობას; მაცხოვრის უკუდავი პადაგების ქვეყნად მოფენას და მით წარმართთა მოქცევას.

დაბლა დაუშვებს, ძირს ჩამოაქვს ცხოველ-ყოფელი ჯვარი საღმრთო მოქმედს და ამით წმ. ეკკლესია გავალებს შენ, მსასოებელო მლოცველო, გაიხსენო ის გარემოება, რომ პირველი მამა ჩვენი ადამი, ღვთისაგან ამაღლებული და თითქმის ანგელოსებთან გათანასწორებული გარდამოხდა ამ სიმაღ-

ლიდან, ღვთის მცნების დარღვევის გამო დაკარგა სამოთხე, შეპყრობილ იქნა ათასგვარ სენთა და ქირთავან, წინააღმდეგენ მას ცხოველი, დედამიწამ პირი აბრუნა მისგან და ნაცულად პურისა იწყო აღმოცენება ეკალთა და კუროსთავთა, უბედური მამის პირშიომ ხელი შეისვარა ძმის სისხლით, ხოლო შემდეგი ჩამომავლობა მისი (ადამისი) მოსპობილ იქნა წარღვეთი ღვთის სახელის დაფიწყებისა და მთლად პირუტყვთა მიმსავსების გამო. იხრება წელში, დაბლა უშვებს ჯვარს მღვდელმოქმედი—წმ. ეკკლესია გიბრძანებს წარმოიდგინო, რომ ქრისტეს მოსვლამდე კაცობრიობის უღდესი ნაწილი გარემოცული იყო კერბთაყვანისმცემლობის სიბნელით, ზნეობრივი რყევა და სარწმუნოებრივი ორგულობა ახასიათებდა მუდამ თვით ღვთისაგან გამორჩეულ ებრაელთა დაბა და ბოლოს, ქრისტეს მოსვლის წინ, იმდენად დაბრმავდა გონებით, რომ საღმრთო სკულის ღირებულები აზრი მთლად დაამცირა, დაამახინჯა, გადაქნა, გარყენა და გააუკუღმართა.

თანდათან მღვდელმა შენს წინაშე, ძმაო ქრისტიანეო, პატიოსანი ჯვარი და ამით ეკკლესია გაგახსენებს იმ გარემოებას, რომ მიუხედავთ კაცობრიობის სარწმუნოებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ელემენტი სიქვეთისა, მიიცი უღელმდე ეამს გამოუღვენელი ყოფილა თითო ოროლა ისეთი ღვთის მოსავი და მორწმუნე, როგორც ნოე, აბრაამი, ისაკი და იოზი, მოსე, აარონი, დავით და წინასწარმეტყველები, მღვდელი ზაქარია, იოანე ნათლისმცელი, რომლისა ლეფროსი შობილთა შორის დედათასა არავინ არს) და ბოლოს უპატროსნესი ქერუბიმთა და უზენაესი სერაბიმთა დედა უფლისა ჩვენისა ყდ წმად ქალწული მარიამი. ასე აღსდგა, ასე ამაღლდა და გაიმართა წელში დაცემული და შემცდარი კაცობრიობა, ასე შეუერთდა იგი მაცხოვარსა და მოიბოვა ღვთის შვილობა.

მდაბლდება ჯვარი და ეს მასწავლის ერთის მხრით ჩემი ცხოვრებისათვის მაცხოვრის ქვეყნად მოსვლას, მეორე მხრით ცხადად ჰყოფს ჩემს დაცემას, ღვთის მცნებათა გარდამავლობას, ჩემს უღებობას და ცოდვისადმი მიდრეკილებას. მღვდელმა ჯვარი—და ეს მაგონებს მე ჩემი მაცხოვრის მკედრეთით აღდგომას, მისგან ჯოჯოხეთის დარღვევას და სიკვდილის განქარებას, ზეცად ამღვდლებს და მარჯვნით მამისა დაჯდომას ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით



ნუგეშად ეფინება ჩემ გულს რწმენა, რომ ჯვარცმითა თვისითა მეც გამომოსყიდა მცხოვარმა ჩემმა ცოდვათაგან, მეც მომანიჭა ქრისტეს ჯვარმა მეკდრეთით აღდგომა, ჯვარზე დანთხეული სისხლი ქრისტესი სულიერად მზრდის და მასაზრდოებს, მართებს და მაკავშირებს ქრისტესთან თანხმად მისი ქვეშაირი სიტყვისა: „ყოველი მკამელი ხორცისა ჩემისა და მსმელი სისხლისა ჩემისა, ჩემთანა ჰგებს, და მე მისთანა“. აი, რას მოასწავებს ჯვრის ძირს დაწებება და ამალღება! აი, რა აზრი აქვს იმ იშვიათად სანახავ მღვდელმოქმედებს, რომელიც იხილეთ ღღეს ცისკარზე! აი, რა ცხოველად გამოუნასკავს ეს აზრი ეკლესიას თავის საგლობელში: დაეს ნერგი უკვდავების ქვეყნის სიღრმით აღმოჰყენდა და მისზედა დასწავალულის ქრისტეს მსხნელას სარწმუნო ჭეოფეს აღდგომას, და სხეულთა მღვდელთათა ამაღლებული, ქრისტეს ზეგად ამაღლებას გეჰადაგებს, რომლის მიერ ბუნება ჩვენი დაცემული და დანთქმული სიღრმეს, აწ ზეგას მოქალაქობს.

ისმინე, დაუკვირი და შეიგნე კარგად, მსმენელო, ბძანება — «ბუნება ჩვენი დაცემული და დანთქმული სიღრმეს, აწ ზეგას მოქალაქობს». ამაზე გასახარებლ განცხადებას, ამაზე უმაღლეს ბედნიერებას ვერ გააგონებენ შენი ყურები ვერც მღვდლისაგან, ვერც მღვდელთმთავრისაგან, ვერც მოციქულისაგან და ვერც ანგელოსთაგან. „ბუნება ჩვენი დაცემული და დანთქმული სიღრმეს, აწ ზეგას მოქალაქობს“ — რა სანეტარო ზეციური ზარის მკრიბალად შემოესმინა ეს სიტყვები ქრისტიანის მგონობიარე გულს, რა მაკაცხლებელ სითბოს ჰფენენ იგინი ქვეშაირი ქრისტიანის სულს, რა სწორე და ფართო ზნეობრივი განვითარების გზისაკენ უთითებენ იგინი კაცის გონებას!

შეგნებული ჰქონდათ, მტკიცედ მსწამლათ ძველ ქართველებს პატოსანი ჯვარის საღმრთო მნიშვნელობა და რამდენადაც კაცისათვის შესაძლოა, უყვარდათ იგი. კირილე იერუსალიმელ პატრიარქის მოძღვრებისამებრ, ჯვარი შეადგენდა ჩვენ წინაპართა სარწმუნოებრივი მოძღვრების უმთავრეს საფუძველს, ჯვარს ისახავდნენ ჩვენი ძველები ხელით პირზე, ჯვარს ისახავდნენ პურზე, რომელსაც სჭამდნენ, ფინჯნებზე, რომლებითაც წყალს სმიდნენ, პირჯვარს იწერდნენ სახლში შესვლისა და გამოსვლის დროს,

დაწოლისა და ძილიდან გამოღვიძების დროს, მოგზაურობის და მოსვენების ყამს და სხ. ღღევანდელი ღღესასწაულის მაღალი აზრის შეგნებამ ააგებინა ქართველებს ივერიის ეკლესიათა შორის უუღღღესი და უუფერფრესი აღავერდის ტაძარი, ჯვარის თაყვანისცემის მხურვალე სურვილი აგროვებდა ღღევანდელ ღღეს სხენებული ტაძრის ფართო გაღვანში საქართველოს მეკიდრთა სიმრავლეს, ჯვარის პატივისცემის ცხოველმა სურვილმა დაუბადა ქართველ ერს აზრი ღღევანდელი მსოფლიო ღღესასწაულის დასაკუთრებისა, თავის ეროვნულ ღღესასწაულად გადაქმნისა, რისთვისაც ენკენისთვის თოთხმეტს წარუძღვანა წინაღღესასწაულად სხენება საქართველოს მშვენებისა დიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისა, ხოლო ჯვართ ამალღების შემდეგი დღე მისაკუთრა აბბა იოსებ აღავერდელის საყვარელ სახელს. მხურვალე სასოება ცხოველ ყოველი ჯვრისადმი შეიქმნა ქართველი ერის ნიშნობრივ თვისებად და მსოფლიო ისტორიაში აღიარებულ იქმნა იგი „ჯვართმოილი“, «ჯვართმტკირთველი», «ჯვაროსან» ერად. ქართველი ერი, მინდობილი ჯვარისადმი, ვერ შთანთქქეს და ვერ მოიხელეს არაბებმა, მონგოლებმა, სპარსებმა, ათასგვარმა შინაურმა და გარეულმა მტრებმა, ქართველი ერი, მიმღევარი ჯვრის სხივისა, არასოდეს არ შეუპყრია გონებრივ სიბნელეს და ყოველთვის აღმურვილი ყოფილა დროს შესაფერი სწავლა-მეცნიერებით, ჯვარის მშოსავი ქართველთა თესლი არავის უნახავს „მთხოველ პურისა“.


ესლა, ჩვენდა საუბედუროდ, მრავალთათვის «სიტყვა იგი ჯვარისა სიციოფე არს» (აკორ. 1, 18). მსგავსად ძველი დროის ებრაელების მწიგნობრებისა, მრავალი ჩვენთაგანი ებრძვის ჯვარს, ლამოზს მის დამარხვას მიწაში და აკი ამ უბედურობის შესაფერ სთველსაც ვისთველეთ: გონებრივი სიმატე, მწარე სილატაქე, ზნეობრივი გახრწნა, შფოთი და მუსტერა ერთმანეთისა — ასეთია ჩვენი ღღევანდელი ყოფა ცხოვრების უტყუარი სურათი. ისინი, რომლებსაგანაც სიკეთეს გამოველოდით, რომლებიც იტყვიან თავთა თვისთა ბრძენ, განსცოფნეს (რომ. 1, 22),



მხედრე უსწავლელ და ყველაფრის ადვილად დამჯერ სოფლის მცხოვრებთა შორის პირუტყველ აზრებს —სარწმუნოება მოგონილა, ეკლესიაში სიარული უგონო და უსაქმური პირების საქმეა, ყველაფერი საზოგადოა და მესაკუთრე ქურდია, მცარცველია, მეზობლის დამწავგრელია, ამისათვის იგი უნდა მოისპოს, უნდა მოიკლასო, ამხედრებენ ძმას ძმაზე.(?) პირუტყვს არ გააჩნია საკუთრება, მისთვის გაურჩეველია ყოველი მინდორი, ველი, ყანა და ვენახი, თუკი პირი მიუწვდა, ყველაფერს მოურიდებლად მოსძოვს და წახანდნს, ვისი საკუთრებაც უნდა იყოს იგი, პირუტყვს არა აქვს ღვთის შიში და ამისგამო არც ცოდვით მიაჩნია არცეა დედასთან, მამასთან, ძმასთან და დასთან, პირუტყვს არ ჰქვამს ღმერთი და ამისგამო ერთგვარად უქირავს თავი ბოსელშიც და წმ. ტაძარშიაც, პირუტყვი მიმდევარია მხოლოდ კუქის მოთხოვნილებისა, და ამის გამო მუქა თივისთვის შეილი არ ინდობს დედას და სხ. და სხ. დაივიწყეთ ღმერთი, ზნეობა, საკუთრება, იყავით მიმდევარნი კუქის მოთხოვნილებისა, ე. ი. შეიქენით მთლად პირუტყვებადო, აი რას უქადაგებენ საბრალის ხალხს ეხლანდელი ზოგიერთა გზა დაბნეული ძველად «ეუფქრასტანესად» წოდებული საქართველოს შეილები.

ოპ, დაგვიცვე და დაგვიფარე, ჯვარტყვის დამთმენელო მაცხოვარო ჩვენო იესო ქრისტე, ამ პირუტყვებირივი მოძღვრების მოციქულთაგან, გულისხმიერ ჰყავ ივინი, რომ ფაცხელ არს მათა წიხენა დეზისა (საქმ. მოც. 9, 5) ჰქმენ ივინი მონად შენი ცხოველმყოფელ ჯვრისა და დაამშვიდე დეღვისაგან ცხოვრება ჩენი. ამინ.

გზასკვამბოსი ლეონიდა.



განცხადება.

ახალი სახმავშილო შურნალი

„ნაკადული“ სურათიგით

გამოიცემა მგინე წლოვან და მოზრდილ ერმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის ჰედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარაშემა 1 ნოემბრადან 1 ნოემბრამდე.
შურნალის პ.ო.გ.ზ.ა.მ.მ.მ.

- 1) მოთხრობანი და ლექსები;
- 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა;
- 3) აღმოჩენათა ღ მოგონებათა ქრონიკა;
- 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები.
- 5) სათამაშოანი, გასართობი; რეზუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხ.;
- 6) ჰედაგოგიური წერილები;
- 7) მკითხველთა წერილები;
- 8) ფოსტის ყუთი და
- 9) განცხადებანი.

შურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს 5 მ. ცალ-ცალკე 3 მანეთი.

გამომცემელი შურნალისა **ქ. ნინო. ე. შოკუბაშვილი.**
რედაქტორები { **ქ. ელ. დ. მარისთავისა,**
ნინო ნიჭ. ზურაბიშვილის.

რედაქცია იმყოფება აღქსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიაშ ივანეს ასულის დემურისი. ტელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, წყნა-კოსტის გამაგრ. სასოგ. ა. კანტელარაშა და შურნალის აკცენტთან. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редак. жур. „Накадули“

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოციციანული განყოფილება: უზალესი მანიფესტი
სალიტერატურო განყოფილება: ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. — შორაპნის მარზის ზღაღიჩინების კრება დაბა ყვირილაში 12 აგვისტოს 1904 წ. დამწერესი. — დასაძლავება 104 წლის ადამიანისა. მისივე. — ჟურნალ გახებებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის საფუძვ. ნიშობასა და ქართი-წამოზაზე: სიტყვა, თქმული პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვართ-ამაღლების დღეს, ე. ლეონიდის-მიერ. — განცხადება

რედაქტორ-გამომცემელი დეტ. დ. ლამაშიძე
Дозволено цензурою Архива вричь Георгий 15 Октябрю 1904 г. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Типог. редакци журн. „Пастыр“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.